№ 225
სამშაბათი, 19 ოქტომბერი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 225
სამშაბათი, 19 ოქტომბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან, **ნატ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით,** წარმოდგენილი იქნება

ახალი პიესა

## ფული და ხარისხი

კომედ. 3 მოქ., თხზ. ქ-ნის აზიანისა.

პირველი დებიუტი ანასტ. აბაშიძისა და ქ-ნ აბხაზიშვილისა

II

## მეფე და პოეტი

ისტორიული სურათი 1 მოქმედ., თხზ. ბანვილისა, თარგ. ს. შუღნასი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

## ქ. ქუთაისში
### კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
## სალომე ი. კერესელიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან სალამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—13)

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა აცხადებს, რომ დაცლილია

## კავკავის

სკოლის მესამე მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიმართოს გამგეობას. მასწავლებელს ჯამაგირი ექმნება 480 მანეთი მხოლოდ იმ პირობით, რომ უსათუოდ გალობა იცოდეს და დასის შედგენა შეეძლოს. (5—3)

## ქართველ ქალთა სამკერვალო

1 ოქტომბრიდგან გაიხსნა და მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებენ შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენნი თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

**საჭიროა გამოცდილი ტანისამოსის გამომჭრელი ქალი სამკერვალოსათვის.**

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გაზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად-ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—6.—11)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მუღინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**სალამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**სალამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შაპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ე ქ ი მ ი
## კ. ს. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., სალამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—57)

## ფელეტონი

### ორი სამრეწველო გამოფენა პეტერბურგში

(შემდეგი *)

ახლა შევეხებით რუსეთის მერძევეობას და აღვნუსხავთ მის წინმსვლელობას ამ 20—30 წ. განმავლობაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოდ მერძეობის წინმსვლელობასთან ერთად გლეხკაცობის წვრილმანი მეპირუტყვეობა შესამჩნევად უკან მიდის რუსეთის გუბერნიების უფროს ერთ ნაწილში.

აი რას გვაუწყებს რიცხვები ამის შესახებ:

| წწ. | მცხოვ. რიც. ათ. | მსხ. პირ. რიც. | მსხ. პ. რიც. 1000 სულზედ. |
|---|---|---|---|
| 61 | 58.000 | 20 708 | 357 |
| 71 | 66.750 | 21 604 | 327 |
| 88 | 85.989 | 24.609 | 286 |
| 98 | 94.215 | 24.425 | 266 |

როგორც ჰხედავთ პირუტყვთა რიცხვს საზოგადოდ თუ უმატებია 61 წლიდგან 88 წლამდე (19%), მას შემდეგ კი შეჩერებულა და კერძოდ 1000 სულზედ 357-დან ჩამოსულა 266-მდე, რაც გამოწვეულია რუსეთის სოფლის მეურნეობასთან ახალ ეკონომიურ დამოკიდებულებისაგან. ამ დამოკიდებულებამ კი გვარიანად შესამჩნევ რიცხვს რუსეთის გლეხკაცობისას ხელი აღებინა არამც თუ საქონლის მოშენებაზედ, თვისის მამულ-დედულისაგანაც და იმას, ამ გლეხ-კაცს, გუდა-ნაბად ზურგზედ მოკიდებულს, ყველგან მრავალს შეხვდებით. როგორც ვიცით, ამ გაბოგანებულ გლეხკაცობის ერთმა ნაწილმა ფაბრიკა-ქარხნებს მიაშურა და მეორე კი მთავრობის მფარველობით სახახლშენო ადგილებს ეძებს მთელის რუსეთის იმპერიაში მათის სიავკარგის განურჩევლად. მას არ არიდებენ არც კავკასიის ციებ-ცხელებიან ადგილებს და არც უშორეს ციმბირის მძაფრ ბუნებოვან განაპირებს. ეს პროცესი რუსეთის ახლანდელის მეურნეობის გამსხვილმანებისა და სამრეწველო ხასიათის მიღებისა ნათლად არის მრავალ სტატისტიკურის ცნობებით აღნუსხულ ბ-ნ ვლ. ილინის ახლად გამოსულ წიგნში და აგრეთვე ბ-ნ ვ. იონოვის მოხსენებაში [1], რომლიდგანაც მკითხველის საყურადღებოთ მოვიყვან რამდენსამე ცნობას. აი როგორ გვიხატავს იგი ახლანდელ სოფლის მეურნის მდგომარეობას სარატოვის გუბერნიაში.

| რიც. პირ. | ოჯახი | % | პირ. რიცხვი საერთოდ | % |
|---|---|---|---|---|
| 1—10 ს. | 469 | 29 | 2.361 | 3% |
| 11—30 | 483 | 30 | 8.824 | 10 „ |
| 31—50 | 225 | 14 | 8 892 | 10 „ |
| 51—100 | 241 | 15 | 17.362 | 20 „ |
| 100—200 | 125 | 7 | 17.540 | 20 „ |
| 200—მეტი | 82 | 5 | 33.725 | 37 „ |
| სულ | 1.625 | 100% | 88.704 | 100% |

აქედგან 693 თავად-აზნაურთა მეურნეობას ჰყავს მსხვილი პირუტყვი 47.476, ე. ი. 53%, ვაჭრების 195 ოჯახს—21.020, ე. ი. 24%, ხოლო გლეხების და მოქალაქეთა 737 ოჯ.—20.208, ე. ი. 23%. პირველთ სამუშაო ხარები ჰყავთ—26.356, მეორეთ—12.009, მ სამეთ—6,744. ჯიშის გაუმჯობესების მხრითაც მსხვილ მეურნეებს უჭირავთ პირველი ადგილი. იმათ ხელშია ¾ გაუმჯობესებული ჯიშის პირუტყვებისა და იმ დროს, როცა ისინი აუმჯობესებენ 16% პირუტყვებისას, გლეხები მხოლოდ 4%-ს [2]). ამგვარსავე მოვლენას აღნიშნავს ბ-ნი იონოვი თვისს მოხსენებაში წვრილ პირუტყვების (ღორისა, ცხვრისა და სხ.) მოშენებას და აგრეთვე მიწათმფლობელობაშიაც. იმათ (მსხვილ მესაკუთრეებს) ეკუთვნით 66% 2½ მილ. დესიატინა მიწებიდგან სარატოვის გუბერნიაში. ამგვარ მსხვილ მეურნეობას დღეს საკმარისად ეხმარება და ხელს უწყობს ეროვნათა კულტურული ღონისძიებანი, რომელთა შეახებაც ასე ბევრს ჰლაპარაკობენ ამ უკანასკნელ ხანს. ბ-ნ იონოვის მოხსენებაში მოყვანილია ის თუ, როგორ დაუპირებია 90 წ. 20000 მცხოვრებს სარატოვის გუბ. ციმბირში გადასახლება „ახალ ადგილებში“ იმ რწმენით, რომ „იქ კი არა, აქ არის ციმბირიო“. ხოლო 91—92 წ. წ. წამსვლელთა რიცხვი 70000-დე ასულა. [3])

ბ-ნ რადციგის გამოანგარიშებით რუსეთის 50 შიდა გუბერნიაში 97 წ. 94.215 მცხოვრებზედ მსხვილი პირუტყვი ყოფილა 24.425, აქედგან ძროხა 9.516. პოლონიის 10 გუბ. 9.456 მცხოვრებზედ მსხვილი პირუტყვი 2,838; ამ რიცხვში ძროხა —1.420 [4]). ავცდებით ბ-ნ რადციგის, რიფესტალის და სხვების მოხსენებებში მოყვანილ სტატისტიკურ მასალას და მოვიყვანთ აქ ერთ დიდ სქემას, საიდგანაც დავინახავთ, თუ როგორაა განაწილებული მცხოვრებთა შორის პირუტყვთა რაოდენობა, მათი წველა და ამ ნაწველის განაწილება. აი ეს სქემაც:

| სახელმწიფო | წლ. | მცხოვ. 1000-ობით | ძროხ. რიც. | 100 სულზედ ძრ. |
|---|---|---|---|---|
| დანია | 1893 | 2 248 | 1 011 | 45 |
| კანადა | —91 | 4.833 | 1.857 | 38 |
| შვეცია | —96 | 4 963 | 1.725 | 35 |
| ფილიან. | —95 | 2.520 | 1.025 | 40 |
| შვეიცარ. | —96 | 3.060 | 687 | 22 |
| ნორვეგ. | —91 | 2.001 | 680 | 34 |
| ჰოლანდ. | —96 | 4.929 | 917 | 18 |
| გერმანია | —92 | 49.428 | 9.9‍16 | 20 |
| ამერიკა | —98 | 74 389 | 15.841 | 21 |
| საფრანგ. | —97 | 38.518 | 6.444 | 17 |
| ბელგია | —95 | 6.496 | 812 | 13 |
| ინგლისი | —97 | 39.825 | 3,984 | 10 |
| უნგრეთი | —95 | 18.229 | 3.500 | 19 |
| ავსტრია | —90 | 23 895 | 4.322 | 18 |
| პოლონ. | —97 | 9.456 | 1.420 | 15 |
| იტალია | —90 | 30.158 | 2.400 | 8 |
| რუს. 50 გუბ. | 97 | 94.215 | 9.516 | 13 [5]) |

*) იხ. „ივერია“ № 222.

[1]) „Характеристическія явленія въ области частновладѣльческаго и крестьянскаго хоз. въ Сар. губ.“ („Труды“ Имп. В. Е. Об. 98 г.

[2]) რადციგი გვ. 65—66.

[3]) იონოვი—იქ. გვ. 4—5.

[4]) იქ. გვ. 13.

[5]) რადციგი, გვ. 65 და 67.

ქუთაისში, საურთიერთო ნდობის საზოგადოების შენობაში, იყიდება დაკლებულ ფასად:

1) 2 ბამბის საწმენდი მანქანა („ჯინი“) თავისის სატკეპნით (прессъ) და მოწყობილობით, ღირებული ერთი 336 მან. 54 კაპ. და მორე 359 მან. 17 კაპ.

2) ერთი დიდი სადებავი სპილენძის ქვაბი, ღირებული 47 მან. 50 კაპ.

3) 55 ტილოს ტომარა.

4) 6 სახვევი ძაფი.

5) 24 გირვანქა ბაწარი.

6) ერთი ხელში საჭერი დიდი ფარანი.

7) ორი ხელში დასაჭერი პატარა ფარანი.

8) საწონი.

9) კანტორის წიგნები.

10) 22 ექვს-არშინიანი პარკის საშრობი რეიკა.

11) 338 აბრეშუმის პარკის საშრობი რამები.

ყიდვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბუხგალტერს ი. ი. პურადოვს. (3—6.—1)

ტფილისი, 18 ოქტომბერი

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ მისმა ბრწყინვალებამ კავკასიის მთავარ-მართებელმა თავადმა გალიცინმა კეთილ ინება და შესწირა ჩვენს დრამატიულ საზოგადოებას ორასი თუმანი მისდა ქონებითის ღონის გასაძლიერებლად და ჩვენის თეატრის საქმის წარსამატებლად. გუშინ წინ მოწვეული იყო მორიგი წლიური კრება დრამატიულ საზოგადოების წევრთა და ამ კრებამ ერთხმად დაადგინა ულრმესი მადლობა საზოგადოების მოახსენოს მისს ბრწყინვალებას განგებ არჩეულ დეპუტაციის პირითა, თუ მისი ბრწყინვალება ამის ნებას უბოძებს, უმორჩილესად სთხოვონ ღირს-ჰყოს და კეთილინებოს საპატიო წევრობა ამ საზოგადოებისა და კეთილ-ინებოსვე მისის ბრწყინვალების სახელით დაინიშნოს პრემია უკეთეს დრამატიულ თხზულებისათვის ქართულს ენაზე.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ არამც თუ მარტო ჩვენი დრამატიული საზოგადოება, არამედ თვითეული ქართველი ცალკე და ყოველივე ერთად მზად არიან თვისი გულწრფელი მადლობა მოახსენონ დრამატიულ საზოგადოებასთან ერთად უხვს შემწირველსა. ეს ამისთანა უხვი შესაწირავი ჩვენის ქართულის თეატრის გაღონიერებისათვის დიდ მნიშვნელობიანი ამბავია არა მარტო დრამატიულ საზოგადოებისათვის, არამედ ყველა ქართველისათვის მით, რომ იგი წარმოსდგა ჩვენის ქვეყნის უმაღლეს მართველისაგან. სწორედ ესეთი განსაკუთრებული გარემოება ამ შესაწირავისა ვალად გვდებს გამოვარკვიოთ და თვალ-წინ დავიყენოთ ამ დიდ მნიშვნელობიან საქმის შინაგანი აზრი ჩვენთვის, ქართველებისათვის საერთოდ და ჩვენის თეატრისათვის საკუთრივ.

ეს შესაწირავი, წარმოვლენილი უმაღლეს მართველისაგან, გვანიშნებს არა მარტო იმას, რომ მისმა ბრწყინვალებამ ინება ღარიბს კასსას ჩვენის დრამატიულ საზოგადოებისას ქონება გაუდიდოს და სახსარი მისცეს უფრო მეტის ღონით გაუძლვეს ჩვენის თეატრის საქმეს. რა თქმა უნდა, ეს ქონებითი მნიშვნელობა ამ შესაწირავს აქვს თავის და თავად და ვერავინ გაუბათილებს. ხოლო ეს შესაწირავი გვანიშნებს სხვა მეორე მხარესაც და სწორედ ამ მეორე მხრით არის იგი ჩვენთვის უფრო ძვირფასი და უფრო სანუგეშო.

კიდევ ვიტყვით: ჩვენთვის დიდი სიქმეა, რომ ჩვენმა უმაღლესმა მართველმა, რომელზედაც ბევრ გვარად დამოკიდებულია ჩვენი ქონებითი, გონებითი და ზნეობითი ყოფა-ცხოვრება, ჩვენი წინ-სვლა და წარმატება, ინება და უხვი შესაწირავი შეაწია ერთს იმისთანას საქმეს ჩვენსას, რომელსაც საგნადა აქვს გონებითად და ზნეობითად ჩვენი ამაღლება, ჩვენი გაწურთვნა და გაუკეთესება. თეატრს სხვა დანიშნულება არა აქვს. ეგ სხვაა, რამოდენად შესაძლებელია უღონო, უსახსარო თეატრისათვის ამ დიდ დანიშნულების მიღწევა, ხოლო დანიშნულება მისი-კი ეს არის და არა რა სხვა. ყველა თეატრი ამისათვის იღვწის და ამისათვის არსებობს შეძლებისამებრ. ბატონი მთავარ-მართებელი არა ერთხელ ბძანებულა ჩვენს თეატრში, ჩვენს ქონებითად უღონო და უსახსარო თეატრში და ყოველ ამის შემდეგ საჭიროდ დაინახა ხელი გაუმართოს თეატრსა ფულით. რას ჰნიშნავს ეს ჩვენთვის საზოგადოდ?

დაუკვირდით ამ საკითხს და ჩვენთან ერთად უეჭველად იტყვით, რომ ჩვენი გონებითად და ზნეობითად ამაღლება, განკარგება და წინ-სვლა მის ბრწყინვალებისათვის ისეთივე სანატრელია და საზრუნველი, როგორც ჩვენთვის და ჩვენზე მეტადაც. ჩვენზე მეტად რომ ვამბობთ, ეს გადაჭარბება არ არის. ჩვენის დიდ-კაცობის გულ-გრილობა ჩვენის თეატრის მიმართ რომ თვალ-წინ გამოვისახოთ, მარტო ეს საკმაოა იმის საბუთად, რომ ჩვენი ნათქვამი გადამეტებულად არავის ეჩვენოს.

ასეა თუ ისე, მისის ბრწყინვალების უხვმა შესაწირავმა ცხადად დაგვანახვა, რომ ჩვენი გაჭირება მშვიდობიან წარმატების გზაზე, ჩვენი უღონობა გონებითად და ზნეობითად ამაღლებისათვის მისს განათლებულს და თანაგრძნობით სავსეს გულს არამც თუ ეუცხოება, არამედ საზრუნველ საგნად გახდომია და უღონობისაგან ჩვენი დახსნა სანატრელ საქმედ. ამ შესაწირავის ამბავი და გარემოება უცილობელ საბუთს გვაძლევს ვირწმუნოთ, რომ ჩვენი მთავარ-მართებელი მზად არის ხელი შეგვიწყოს და მფარველობა გაგვიწიოს ყოველს იმისთანა მოცადინეობაში, რომელსაც აზრად და საგნადა აქვს ჩვენი მშვიდობიანი, კეთილ-გონიერი წინ-სვლა და წარმატება და მით წაგვახალისოს, რომ უფრო მომეტებულის და გაძლიერებულის მხნეობით შევეჭიდნეთ ყოველს საქმეს, მომართულს და აგებულს ჩვენის გონების, ზნეობის და ქონების გაძლიერებისათვის.

ეს არის, ჩვენის ფიქრით, შინაგანი აზრი მისს ბრწყინვალების შესაწირავისა. ამიტომაც თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეგ შესაწირავი უეჭველი თავმდებია იმისი, რომ ყოველივე ჩვენი კეთილი საქმე, ყოველივე ჩვენი კეთილ გონიერი და საფუძვლიანი დაწყობილება ჩვენის საზოგადოების მშვიდობიანად წინ-სვლისა და წარმატებისა დიდს მფარველობას და შემწეობას მოიპოვის მისს ბრწყინვალების თავად გოლიცინისას, ვითარცა ჩვენის ქვეყნის უმაღლეს მართველისას. განა ეს ცოტა ნუგეშია ჩვენთვის. ჩვენ მარტო ის-ღა დაგვრჩენია გულწრფელის მადლობით მივიღოთ იგი საყოველთაო ნუგეში და ჩვენის მოქმედებით დავამტკიცოთ, რომ ღირსნი ვართ მაგ ნუგეშისა, მფარველობისა და ხელის შეწყობისა.

აშკარაა, რა-კი მისის ბრწყინვალების გული ასე კეთილ-საიმედოდ აღძრულია ჩვენის შემწეობის და მფარველობისათვის, ჩვენ სასოებით შეგვიძლიან მოვილოდინოთ ჩვენი მომავალი, ჩვენი მერმისი იმ პირობით-კი, რომ ჩვენც ჩვენის მხრით შევკეცოთ ერთად მთელი ჩვენი ზრუნვა, მეცადინეობა და მხნეობა, რომ ღირს ვიყვნეთ ამისთანა ძლიერის და განათლებულ მფარველობისა. უმაღლესმა მართველმა ჩვენის ქვეყნისამ, მოგვცა რა შემწეობა ფულითა, ამით თითქო გვანიშნა: აი მე მზადა ვარ ხელი შეგიწყოთ, თქვენც თქვენის მოქმედებით დაიმსახურეთ ჩემი ხელშეწყობა და შველაო.

აი სწორედ ამ ნაყოფიერის გზით, ამ სასურველ დამსახურებით უფრო სანატრელია გამოვთქვათ მთელი იგი სიღრმე ჩვენის მადლობისა, რომლითაც აღსავსეა დღეს ჩვენი გული. ამ გზით, ამ გვარად გამოთქმული მადლობა უფრო დიდ მნიშვნელობიანია და უფრო საამურიც იქმნება თვით მისს ბრწყინვალებისათვის, რადგანაც ყოველი ჭეშმარიტი და გულმტკივნეული მართველი ქვეყნისა მარტო თვისის ღვაწლის და ზრუნვის ნაყოფით ჰხარობს და სიამოვნებს.

## ახალი ამბავი

*** გზათა სამინისტრომ მიანდო გზათა ინჟინერს ტომაშევიჩს თვალყური ადევნოს კახეთის რკინის გზის მიმართულების გამოკვლევას.

*** გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი დაბრუნდა ტფილისში და შეუდგა თვისის თანამდებობის აღსრულებას.

*** 15 ოქტომბრისათვის დანიშნული კერძო სხდომა კახეთის მევენახეთა არ შესდგა ზოგიერთ მევენახეთა მოუსვლელობის გამო.

*** დღეს, 19 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, კრება ექმნება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას. ამ კრებაზედ, სხვათა შორის, ა. ა. ქალანთარი წაიკითხავს თავისს მოხსენებას ამა წელს პეტერბურგში მომხდარ მერძევეთა კრების და იმათ მიერ გამართულ გამოფენის შესახებ.

*** პეტრე-პავლეს ეკკლესიის სამრევლო სკოლის მზრუნველს შუამდგომლობა აღუძრავს ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ სკოლასთან დაარსებულ იქმნას სა-

ამ ცხრილიდგან მკითხველი დაინახავს, რომ რუსეთს ყველა სახელმწიფოებში უკანასკნელი ადგილი უჭირავს პირუტყვის ყოლასა, იმათ მეწველეობასა და მცხოვრებთა შორის რძის განაწილების მხრივაც. რაც შეეხება შინაობაში, აქაც წველა და რძის განაწილება მცხოვრებლებზედ შიდა გუბერნიებში უფრო ნაკლებია, ვინემ განაპირა ადგილებში, მაგ. ფინლიანდიასა, პოლონიასა და კავკასიაში, სადაც ბ-ნ ალ. ქალანთარის სიტყვით [6]), კამბეჩი და ზოგან გაუმჯობესებულ ჯიშის ძროხა 15—30 გირ. იწველის დღეში. უეჭველია, ეს მსხვილ მეურნეობის პირუტყვებზედაა ნაანგარიშევი, თორემ ჩვენებურის გლეხის ძროხა საშუალოდ 3—6 გირ. და საუკეთესო 8—12 გირ. თუ მისცემს პატრონს, დიდი ბარაქალა იქნება. ზემორე აღწერილ ცნობათა შესავსებად მოვიყვანთ კიდევ ერთგვარ ციფრებს, რომელნიც გვაჩვენებს ვედრობით რძის რაოდენობას მცხოვრებთა კვალობაზედ და იმისს ფასსა: [7])

დანიაში 67,5 ვ. 40 მ. 50 კ., გერმანიაში 29,3 ვ. 17 მ. 6 კ., კანადაში 56,1 ვ. 28 მ. 50 კ., უნგრეთში 18,8 ვ. 9 მ. 60 კ., ფილანდიაში 48,8 ვ. 24 მ. 40 კ., ბელგიაში 19,2 ვ. 11 მ. 25 კ., შვეციაში 43,8 ვ. 26 მ. 30 კ., ავსტრიაში 18,1 ვ. 9 მ. 4 კ., ნორვეგიაში 40,8 ვ. 20 მ. 39 კ., საფრანგეთში 17,0 ვ. 11 მ. 72 კ., შვეიცარიაში 38,1 ვ. 22 მ. 90 კ., პოლონეთში 15,0 ვ. 7 მ., 51 კ., ჰოლანდიაში 32,6 ვ. 19 მ. 54 კ., ინგლისში 14,5 ვ. 9 მ. 95 კ., ამერიკაში 30,2 ვ. 15 მ. 12 კ., იტალიაში 9,0 ვ. 3 მ. 65 კ., 50 რუს. გუბ. 7,3 ვ. 2 მ. 97 კ., ესეც იმის მაჩვენებელი, თუ რამდენად ნაკლებად არის უზრუნველყოფილი რუსეთის მკვიდრი რძით—ადამიანის ამ უსაჭიროესის საჭმლით.

აღვნუსხეთ რა რუსეთის მეპირუტყვეობის მდგომარეობა, ეხლა შევეხები სარძეო ნაწარმთა ვაჭრობას, რათა სრულიად გავიცნობთ მეურნეობის ეს დარგი.

როგორც ყველა ზემოდ ჩამოთვლილ სახელმწიფოს, ისე რუსეთსაც გააქვს საზღვარ გარეთ თვისი ნაწარმი, თუმცა, როგორც დავინახეთ, მეტი, მოსარჩენი არაფერი აქვს, შინ შვილებიც-კი უტირის, მაგრამ გარეთ ტაბლა მაინც გააქვს. ასეთია საქმის ვითარება და მისი არა-სანატრელი შედეგი, მაგრამ, როგორც ვიცით, ამგვარ მდგომარეობის აუცილებლობაც შეუძლებელია იმ სამრეწველო წეს წყობილებაში, რომლის ნაყოფს დღეს მხოლოდ მაღალი მფლობელი კლასსი ჰგემობს, უტოვებს რა დაბალს მარტო ნასუფრალს. რუსეთი, რასაკვირველია, როგორც საერთაშორისო საბრძოლველ ასპარეზზედ ახლად გამოსული სახელმწიფო, სხვებზედ გაცილებით მომეტებულს იამენს ამ საყოველთაო კანონისაგან და ამისათვის სიმდიდრის ხალხში განაწილება ასე უთანაბრო და მცირეა. ამას გვიმტკიცებს ჩვენ სარძეო ნაწარმით ვაჭრობაც, რომლის სქემასაც აქ მოვიყვანთ.

გ ა ჰ ქ ო ნ დ ა ო

| წლები | რძე მანათი | ერბო ათასი ფუთ. | ერბო ათასი მან. | ყველი ათასი ფ. | ყველი ათასი მან. |
|---|---|---|---|---|---|
| 1883 | — | 304 | 3.610 | 22 | 1.61 |
| 84 | — | 228 | 2 955 | 34 | 2.68 |
| 85 | — | 286 | 2.300 | 49 | 3 09 |
| 86 | — | 312 | 2.668 | 58 | 2,36 |
| 87 | 42 | 351 | 3.501 | 71 | 2.67 |
| ორთა შუა რიცხვით | | 296 | 3.007 | 46,8 | 2.48 |
| 88 | 12 | 438 | 4.585 | 46 | 2.53 |
| 89 | 21 | 530 | 5.404 | 62 | 3.63 |
| 90 | 24 | 385 | 3 830 | 69 | 3.80 |
| 91 | 58 | 478 | 4.617 | 63 | 4.00 |
| 92 | 108 | 347 | 3 607 | 37 | 3.00 |
| | 45 | 436 | | 55,4 | 3.39 |
| 93 | 48 | 392 | 3.997 | 31 | 1.85 |
| 94 | 50 | 333 | 3.256 | 29 | 1.72 |
| 95 | 62 | 295 | 2,944 | 36 | 2.23 |
| 96 | 91 | 312 | 3 211 | 36 | 2.25 |
| 97 | 132 | 530 | 5.407 | 51 | 3,41 |
| | 77 | 372 | 3.763 | 36,6 | 2.29 |

შ ე მ ო ჰ ქ ო ნ დ ა თ

| | ერბო ფუთ. | ერბო მან. | ყველი ფუთ. | ყველი მან. | წელი | ერბო ფუთ. | ერბო მ ნ. | ყველი ფუთ. | ყველი მან. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 83 | 98 | 1.229 | 55,7 | 1.002 | 1888 | 173 | 1.743 | 43 | 700 |
| 84 | 105 | 1.319 | 58,2 | 1.026 | 89 | 180 | 2.057 | 41 | 690 |
| 85 | 124 | 997 | 56,9 | 933 | 90 | 133 | 1.496 | 46 | 672 |
| 86 | 76 | 925 | 46,8 | 840 | 91 | 71 | 742 | 51 | 695 |
| 87 | 105 | 1.203 | 43,4 | 729 | 92 | 58 | 666 | 52 | 661 |
| | 102 | 1.135 | 52,2 | 909 | „ | 123 | 1.341 | 46,6 | 684 |

| წელი | ერბო ფუთ. | ერბო მან. | ყველი ფუთ. | ყველი მან. |
|---|---|---|---|---|
| 93 | 84 | 995 | 55 | 615 |
| 94 | 82 | 949 | 65 | 863 |
| 95 | 53 | 624 | 55 | 689 |
| 96 | 39 | 495 | 57 | 741 |
| 97 | 27 | 300 | 59 | 799 |
| „ | 57 | 673 | 58,2 | 741,4 |

გარდანამეტი პირველისა მეორეზედ პირველს 5 წელიწადს 1.240.000 მ., მეორეს—2.768.000 მ., მესამეს—2.661.000 მ. (იხ. რადციგი, სქემა მე-VIII-ე). 1898 წ. გაუტანიათ სულ 7.167.000 მან. და შემოუტანიათ 1.043.000 მ. ბ-ნ რადციგის სიტყვით, ამგვარი მატება გატანისა იმითი აიხსნება, რომ ციმბირის მერძევეობა დღითი დღე იზდება, რასაც ხელი შეუწყო ახალმა რკინის გზების გაყვანამ, და მით ბაზრების დაახლოვებამ. განსაკუთრებით ბევრს ამზადებს ციმბირი ერბოს. იგივე ავტორი მერძევეობის განვითარების საქმეს იმითაც ჰზომავს, თუ რამდენი მანქანა გაყიდულა იქ. მაგ., მარტო კურვანის ოლქში 97 წ. 100.000 მ. და 98 წ. 120.000 მ. მანქანები გაუყიდნიათ, რომლითაც 200.000 ფ. ერბო დაუმუშავებიათ (იხ. გვ. 44).

შინაურ ბაზრებში პირველი ადგილი 96 წელს სჭერია პეტერბურგს, სადაც სხვა და სხვა გუბერნიიდგან შემოუზიდნიათ 886,000 ფ; იმას მოს-

[6]) Состояніе скотоводства на Кавказѣ.

[7]) რადციგი, გვ. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირაო სკოლა როგორც რუს, ისე ქართველ ქალ-ვაჟთათვის.

*** გარდაცვალებულ სემენარიელის გოგოლაძის უბედურ შემთხვევის გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა საყვედური გამოუცხადოს ქალაქის სამკურნალოს ზედამხედველს ბ-ნს ხუდადოვს იმის გამო, რომ მან გარკვევით არ შეატყობინა მკურნალს ავადმყოფის მოყვანის ამბავი.

*** თვალის მკურნალმა ტარსაიძემ 15 ოქტომბერს მე-VI ნაწილში დაათვალიერა ყველა ის სახლი, სადაც თვალის ავადმყოფობა გაჩნდა, და განკარგულება მოახდინა, რომ მე-V და მე VI ნაწილის თვალით ავადმყოფნი გაგზავნილ იქმნან ხოლმე ხარფუხის სამკურნალოში, სადაც მკურნალი დახმარებას აღმოუჩენს.

*** ბერლინის საიმპერატორო ინსტიტუტის დირექტორმა, რომელსაც კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა კახეთიდგან ბლეკროტით დაზიანებულ ყურძნის მტევნები გაუგზავნა გამოსაკვლევად, შემოუთვალა კომიტეტს, რომ მტევნები მართლაც ბლეკროტით და ამასთან ძალიან საშიშის სახის ბლეკროტით არის დაზიანებულიო.

*** 16 ოქტომბერს ქალაქის გამგეობამ საშუალო აქციზი გაანაწილა სანოვაგის დუქნების პატრონთა შორის.

*** როგორც ისმის, ამიერ-კავკასიის რკინის გზის-მიერ ყარსის რკინის გზის ჩაბარება გადადებულია, ვიდრე საზღვარ-გარეთიდგან არ დაბრუნდება გზის რემონტის უფროსი ტ. ი. ოკორონკო, რომელსაც ტფილისში 15 ნოემბრისათვის მოელიან.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა სასამართლოს განსახილველად გარდასცა საბრალმდებლო ოქმი საყურადღებო საქმისა თელავის მაზრის მემამულის ივანე ნიკოლოზის-ძის ჯორჯაძისა, გლეხის მაჭმუდ-ანტილაშვილისა და მარიამ თათულაშვილისა, რომელთაც ამ ქალის ქმრის მოკვლა ჰბრალდებათ.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა გარდასცა საბრალმდებლო ოქმი სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას ტფილისის მოქალაქეთა გაბო გებუაძისა, გიორგი ზახაროვის და ელისაბედ გებუაძის საქმის შესახებ, რომელთაც ის ბრალი ედებათ, რომ წარსულ წლის უკანასკნელ თვეებში ქ. ტფილისში წინ-და-წინ ერთმანეთს შორის მორიგებით, იარაღები გააკეთეს ვერცხლის მანეთიანის მოსაჭრელად და კიდეც მოსჭრეს ყალბი ფული. ბრალდებულნი გაბო გებუაძე და გიორგი ზახაროვი მეტეხის ციხეში არიან დატუსაღებულნი, ხოლო ელისაბედ გებუაძე-კი არ არის დაპატიმრებული.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოთა მუშებს დიდი გაჭირვება თურმე ადგათ შემდეგის უწესრიგობისაგან: წესდების ძალით ყველანი ვალდებულნი არიან მუშაობის გათავების შემდეგ გავიდნენ სახელოსნოებიდგან მხოლოდ ერთ მთავარ კარით, მაგრამ უბედურება ის არის, რომ სწორედ ამ კარის წინ გზაზედ, მუდამ გაჩიდულია ორთქლმავლები, რომლებიც სახელოსნოებშია შესაკეთებლად გაგზავნილი; ამასთან ეს ადგილი ღამით თითქმის არასოდეს არ არის განათებული, თუმცა ზამთრობით მუშები სწორედ ღამით ათავებენ მუშაობას და იძულებულნი არიან გაიარონ ამ ადგილზედ. რაღა გასაკვირალია, თუ ასეთ გარემოებაში იშვიათი არ არის სხვა და სხვა გვარი უსიამოვნო შემთხვევა მუშათაშორის, რომელნიც სიბნელეში ეჯახებიან ორთქლ-მავლებს, ედებიან რელსებს და ხან და ხან მძიმედაც დაშავდებიან ხოლმე. დიდი ხანია საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას. („კავკ.").

*** გაზ. „ნოვოსტი" იუწყება, რომ პეტერბურგში ყარსიდგან მისულა ვილაც მ. ხუციშვილი, 8 წლის ყმაწვილი, რომელიც საუცხოვოდ თურმე უკრავს ვიოლონჩელს.

*** ჩვენი მსახიობი ბ-ნი კოტე ყიფიანი სწორედ იმ მატარებლით თურმე მიემგზავრებოდა, რომელიც 15 ოქტომბერს დაიმტვრა მოლითსა და მარილისს შუა, და ამ ამბავს ასე ატყობინებს „ახ. მ."-ს: შევიდა თუ არა გვირაბში ჩვენი მატარებელი, მემანქანე ხან უმატებდა სისწრაფეს, ხან უკლებდა. ჩემს კითხვაზედ, თუ რატომ ასე მიჰყავთ მატარებელი მეთქი, ვილაც კონდუქტორმა მიპასუხა, მემანქანე ცოტა მთვრალიაო. მაგრამ საქმე მემანქანის სიმთვრალეკი არ იყო, არამედ ისა, რომ ერთსა და იმავე გზაზედ ორ სადგურს შუა გაშვებული იყო ორი მატარებელი ერთი მეორის პირდაპირ. მატარებლები ისეთის ძალით დაეჯახნენ ერთმანეთს, რომ სამგზავრო მატარებლის ბარგის ვაგონი ნაფოტებად იქცა, საქონლის მატარებლის სამი ვაგონი, რომლებიც ფქვილიან ტომრებით იყო დატვირთული, მთლად დაიმსხვრა, სამი ორთქლმავალი დაიმტვრა და ერთი მე-3 კლასის ვაგონი კინაღამ მდინარეში გადაეშვა და ხრამის ნაპირზედ გადაწვა; ერთი კონდუქტორი დაჯახების დროს მატარებელმა მდინარის მეორე ნაპირზედ გადაისროლა 10 საჟენზედ, თუ მეტზედ არა; დაშავებული აღმოჩნდა 11 კაცი. სამგზავრო მატარებლის 6 კონდუქტორი, საქონლის მატარებლის მემანქანე, რომელნიც მძიმედ დაშავდნენ, და მესამე კლასის 4 მგზავრი. სწორედ რაღაც სასწაულით გადარჩა ცოცხალი რამდენიმე ასი ადამიანი, რომლებთანაც ერთად მატარებელი კინაღამ მდინარეში არ გადაეშვა 4—5 საჟენის სიმაღლიდგან. უბედურება მოხდა ნაშუადღევის 2 საათზედ, ხოლო ჩვენს დასახმარებლად-კი მოვიდნენ საღამოს 5 ნახევარ საათზედ, და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს მგზავრთა გადაყვანა მეორე მატარებელში, რომელიც ყვირილიდგან მოგვაშველეს. ვინ არის უბედურების მიზეზი? თურმე ნუ იტყვით, მიზეზია ტელეგრაფისტი 16 წლის ყმაწვილი, რომელსაც საქონლის მატარებელი გამოუშვია და თავისის დანაშაულის დასამალავად ტელეგრაფის ქაღალდი დაუხევია. ამ ნაირად, ათასობით ადამიანთა სიცოცხლე ვილაც ბავშვისათვის ჩაუბარებიათ, რომელსაც რიგიანად არ აქვს შეგნებული თავისი მოვალეობა".

*** რადგან ტფილისის პოლიცია მეტის-მეტად აგვიანებს ქაღალდების მსვლელობას, ამის გამო ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდ. აღმასრულებელმა უბრძანა ბოქაულთ, ყოველი ქაღალდი სისრულეში მოიყვანეთ ხოლმე არა უგვიანეს ერთის კვირისაო.

*** ამ დღეებში ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა წინადადება მისცა მატარებლის მემანქანეთ, მხოლოდ გზაში, მწვანე დისკებს შუა, ისმარეთ ხმა მაღლა მყვირალი საყვირი და არამც და არამც არ დააყვიროთ ხოლმე იგი, სადგურებზედ დგომის ანუ მათთან მიახლოვების დროს, თუ ორთქლ მავალს სხვა სასტვენიც აქვსო; იმ ორთქლმავლებზე, რომლებსაც არ აქვთ ასეთი სასტვენი, უნდა გაუკეთდეს იგიო და სხ.

*** ამ დღეებში მოხსენებული გვქონდა, რომ სად. მიხაილოვში ტელეგრაფისტმა კიკნაძემ მოჰკლა ტელეგრაფისტი ჯაფარიძე. განსვენებული ჯაფარიძე უცოლო კაცი ყოფილა და კიკნაძესთან საუკეთესო მეგობრული დამოკიდებულება ჰქონია. კიკნაძეს ცოლი ჰყოლია. ჯაფარიძე არა თუ კიკნაძისას დადიოდა ხოლმე, არამედ მის მშობლებსაც არა ერთხელ სწვევია ზელაგორში. ამტკიცებენ, რომ ჯაფარიძე აშკარად ეარშიყებოდა კიკნაძის ცოლსაო. კიკნაძე თუმცა არ იჯერებდა ასეთ ხმებს, მაგრამ ჯაფარიძეს მაინც თვალ-ყურის დევნება თურმე დაუწყო. მკვლელობამდე რამდენისამე დღის წინ ჯაფარიძეს უთქვამს მეგობრისათვის: აჰა ეს 25 მან., მე შენ მივდივარ და შენს ცოლს ვეწვევიო. ამის შემდეგ კიკნაძე ეჭვმა თურმე შეიპყრო და სწორედ ამ ეჭვს მოჰყოლია შედეგად ჯაფარიძის მოკვლა.

*** კვირას, 17 ოქტომბერს, ანჩისხატის ტაძარში შეკრებილმა მრევლმა ამა ტაძრის მნათედ აირჩია ერთხმად იოსებ ლუარსაბის ძე ბაღდუევი.

*** ქალაქის საბჭოს, რომლის სხდომა 21 ოქტომბრისათვის არის დანიშნული, განსახილველი აქვს, სხვათა შორის, შემდეგი საგნები: საბჭოს თავმჯდომარის არჩევანი; გამგეობის 1894 და 1895 წლების ანგარიშის განსახილველად; გამგეობის მოხსენება ცხენის რკინის გზის წარმოების კონცესიის გაცემის შესახებ; დამფასებელ კომისიის და უძრავ ქონების დამფასებელთა მოქმედების წეს-რიგის პროექტი; ქალაქის დამფასებელთა თხოვნა დაფასებისათვის დაჯილდოების მკვლის წეს-რიგის აღდგენის შესახებ. გამგეობის დარაჯად ნამყოფის ქვრივის ჩიქოვანის თხოვნა შემწეობის შესახებ; ქალაქის გამგეობის დადგენილება მაღლებზედ გარდასახადის დაწესების შესახებ; ქალაქის გამგეობის მოხსენება ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ; ქალაქის თვით მმართველობის მოსამსახურეთათვის საპენსიო კასის დაარსების პროექტები.

## ქართულ დრამატიულ საზოგადოების საგანგებო კრება

კვირას, 17 ოქტომბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში შესდგა ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა საგანგებო წლიური კრება. კრებას ამ ხელად საკმაო ხალხი დაესწრო. კრების თავმჯდომარედ წევრთა მიერ ამორჩეულ იქმნა უგანათლებულესი თავ. მ. ა. გრუზინსკი. კრების დაწყებისათანავე თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ მისმა ბრწყინვალებამ, მთავარ-მართებელმა გენერალ ადიუტანტმა გ. ს. გოლიცინმა ინება და ორი ათასი მან. შესწირა ქართულ დრამატიულ საზოგადოებასაო. კრებამ, მოისმინარა ეს ამბავი სიამოვნებით, ერთ ხმად დაადგინა: გულ-წრფელი მადლობა განუცხადოს მისს ბრწყინვალებას, თავ. მთავარ-მართებელს ამ შეწირულებისათვის საგანგებო არჩეულ დეპუტაციის პირით. ამ დეპუტაციის წევრებად არჩეულ იქმნენ თვით თავმჯდომარე კრებისა უგანათ. თავადი მ. ა. გრუზინსკი, ქართულ დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარე ვ. სულხანიშვილი და ერთი უმხცოვანესი არტისტთაგანი ბ-ნი ვ. ა. აბაშიძე. ამას გარდა, კრებამ დაადგინა სთხოვოს მის ბრწყინვალებას ღირსჰყოს და ინებოს დრამატიულ საზოგადოების საპატიო წევრად ყოფნა. დაინიშნა აგრეთვე მისი სახელობის ყოველ წლიური პრემია ქართულს ენაზედ დაწერილ საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოებისათვის.

შემდეგ კრებას მოხსენდა ანგარიში დრამატიულ საზოგადოების მოქმედებისა 1898 წ. 1 ოქტომბრიდგან

---

დევს მოსკოვი—649,000 ფ., ვარშავა—142,000 ფ., რიგა—133,000 ფ., ოდესა—98,000 ფ., როსტოვი—45,000=1,953,000 ფ. 95 წ. შედარებით (2,053,000 ფ.). 96 წ. ზემო დასახელებულს ადგილებში შემოიტანიათ ნაკლები, მაგრამ ამას ბ-ნ რადციგი გადაზიდვის რეგისტრაციის ნაკლულევანებას აწერს.

მერძევეთა კრებამ, რომელმაც 12 დღე გასტანა (1—12 სექ.), ბევრი სიავ-კარგე გამოაქვეყნა ამ მეურნეობისა, თუმცა მათი ნალაპარაკები უფრო კერძო ხასიათისა იყო, ვიდრე სტატისტიკურ ცნობებით დასაბუთებული მსჯელობა. ამ გვარ მკვლევარს ეს დარგი შემდეგში მოითხოვს და, ალბად, მომავალ მოსკოვის კრებისათვის (1902 წ.) მას შესაფერისი სინამდვილის აღმნუსხველი გამოუჩნდება. ბ-ნ რადციგის წიგნი-კი პირველი ნაბიჯია ამ მხრივ და, უეჭველია, მეორე უფრო ფართო პროგრამისა იქმნება. რძის მწარმოებლებისათვის დღევანდელ გამოფენასა და კრებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ 1, აქ ისინი პირის-პირ შეხვდნენ ტეხნიკით წინ წასულ უცხო ქვეყნელებს, იმათ შეაფასებინეს თავიანთი ბაზარზედ გასატანი საქონელი; 2, გაიცნეს იმათი ტეხნიკა მეურნეობისა; 3, უმთავრეს მხმარებელს იმათის საქონლისას—პეტერბურგს—დაუახლოვდნენ, და 4, შეიტყეს რუსეთის სხვა და სხვა ნაწილში რძის მრეწველობის საქმე, დღევანდელი მისი მდგომარეობა. ამას თუ დაუმატებთ იმ 52 მუხლს შუამდგომლობისას, რომელიც მათ შეიმუშავეს სამინისტროში წარსადგენად,—უნდა აღვიაროთ, რომ წრევანდელმა სარძეო გამოფენამ და კრებამ შესამჩნევი კვალი დასტოვა ახლად აღორძინებულ სამრეწველო მეურნეობის განსავითარებლად. კრების წევრები მით უფრო დაიმედებულნი წავიდნენ, რომ ვაჭრობის და მანუფაქტურის დირექტორმა ბ-ნ ვ. კოვალევსკიმ თავისის გძელ სიტყვით დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა და შეჰპირდა შუამდგომლობათა აღსრულებას.

კერძოდ კრებაზე ბევრი ლაპარაკი გამოიწვია ეგრედ წოდებულმა „არტელურმა (ამხანაგურმა) წარმოებამ", რომლის პირველ პიონერად მერძევობაში ნ. ვ. ვერეშჩაგინი და მისი შემდეგი თანამშრომლები მოსკოვის ვაჭრები ძმ. ბლანდოვები ითვლებიან. ესენი, გატაცებულნი მე-60—70 წწ. ლიბერალურ „ნაროდნიკულ" მიმართულებით, გულმხურვალეთ შესდგომიან „არტელების" დაარსებას სხვა და სხვა გუბერნიაში. ზოგი ამ „არტელთაგანი" მოსპობილა და ზოგიც თუ არსებობს, უმრავლესობის თქმით, სულთ მობრძავის სიცოცხლეს ატარებს, რადგან გარემოებისა გამო მეტათ გაძნელებულია მათი არსებობა. ამ გვარ პირობათა შორის ბევრი რამ დაასახელეს როგორც კერძო ადგილობრივის ხასიათისა, ისე ზოგადი და ყველა კი იმაზედ შეჩერდა, რომ სოფლის მეურნე ჯერ ამ გვარ კოოპერატიულ ამხანაგობისათვის სრულიად მოუმზადებელია და ეს დაწყებულება ნაადრევიაო, მის ორგანიზაციას „რკინის ხელი" უნდაო, თქვა ერთმა ცხოვრებით გამოცდილმა ყველის მრეწველმა. რაც შეეხება ამ საქმის პირველ პიონერებს ვერესჩაგინსა და ბლანდოვებს, იმათ თავიანთის გამოცდილებისა არაფერი წარუდგინეს წევრებს და ერთმა მათგანმა მხოლოდ ორის სიტყვით სთქვა, რომ „ამ ლიბერალურ დაწყებულებისა ეხლა მე აღარა მრწამსო". ზოგიც წინააღმდეგი იყო „არტელებისა", იმიტომ, რომ ისინი კერძო მსხვილ მრეწველებს ხელს თურმე უშლიან ხალხის ძარცვა-გლეჯის საქმეში. ზოგიც (ქალები ქ-ნი მურომცევა და უტრომსკაია), „ნაროდნიკობით" გატაცებულნი, იცავდნენ გლეხებს იმ ბრალდებისაგან, ვითომც რუსის გლეხკაცობას თვისის უვიცობით არ შეეძლოს „არტელურ" ამხანაგობათა შეგუება, მოგვარება. მთავრობის ინსტრუქტორები, რომელნიც ამ დარგის პიონერებად არიან დანიშნულნი, ბ-ნ ვებერის სიტყვით [8]), ან ნაკლებ არიან ამისათვის მომზადებულნი და ბევრს შეცდომას ჩადიან, ანდა ვინც რძის საქმე იცის, ისინი თითონ იწყებენ თავიანთ კერძო მეურნეობას სხვისის სახელით და ხალხის მძარცველად ჰხდებიან. კრებებზედ აღნუსხეს აგრეთვე ის მოვლენაც, რომ არტელურ წარმოებაში ერბოსი და ყველის კეთება უფრო ცუდია, რასაც მთავრობის ინსტრუქტორი რიფესტალიც აღიარებს [9]) და რაც, ვებერის სიტყვით, გამოიწვევს სარძეო ნაწარმის ფასის დაცემასა და ბაზრის დაკარგვას. ამ რიგად კითხვა მაინც კიდევ გამოურკვეველი დარჩა და იმითი დაკმაყოფილდნენ, რომ დაადგინეს იშუამდგომლონ კრედიტი გაეხსნას გლეხებს ამ საქმისათვის.

(შემდეგი იქნება)

1) Нужды нашего молоч. хоз. изд. И. В. Е. Об. 99 г.

9) „Труды съѣзда молоч. хоз. Ярос. и Волог. губ." 99 г. და მისივე „Отчетъ о положеніи производ. Молоч. продуктовъ въ Вологодской губ."—99 г.

1899 წ. 1 ოქტომბრამდე. როგორც ამ ანგარიშიდგანა სჩანს, საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონია შემოსავალი 12.322 მან. 99 კაპ., ამ ფულიდგან დაუხარჯავს 12.143 მან. 31 კაპ., ხოლო პირველ ოქტომბრისათვის ამა წლისა ჰქონია 1,159 მან. 68 კაპ.

წარსულ წლის ანგარიშში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ „კნ. ნინო ჩოლოყაშვილისა დიდს შემწეობას უჩენს ჩვენს თეატრსაო. ჩვეულებრივად წრეულსაც პატივცემულმა კნეინამ გამართა სცენის მოყვარეთა წარმოდგენა და 1500 მანათი წმინდა შემოსავალი გამგეობას ჩააბარა. სათავად აზნაურო ბანკმაც ასი თუმანი გაიღო თეატრის სასარგებლოდ. წინად პროვინციაც ეხმარებოდა დრამატიულ საზოგადოებას, მეტადრე ქ. ბაქოს ქართველობა იჩენდა დახმარების შნოსა და უნარს თეატრის მიმართ, მაგრამ წელს ესეც მოისპო და ბაქოელ ქართველობის საქველ-მოქმედო წყარო თითქოს დაიშრიტა თეატრისათვისაო. მართალია, იქ წრეულსაც, ჩვეულებისამებრ, ქართული სალამო გამართეს, შემოგვითვალეს კიდეც, პიესის დასადგმელად არტისტი გამოგვიგზავნეთ და შემოსავალში წილს თქვენც დაგიდებთო, არტისტი გავგზანეთ, ხუთი თუმანი ხარჯი გავწიეთ და დაპირება ცალიერ სიტყვად დარჩაო“. საზოგადო კრებამ ანგარიში დაამტკიცა.

შემდეგ მოხსენებულ იქმნა ხარჯთ-აღრიცხვა ამ წლისა (1899 წ. 1 ოქტომბრიდგან 1900 წ. 1 ოქტომბრამდე). ამ ხარჯთ-აღრიცხვით გამგეობა თხოულობს 11.160 მან. მოსალოდნელ ხარჯად, ხოლო მოსალოდნელი შემოსავალი 11.239 მ. 65 კაპ. აქვს ნაანგარიშევი. მოსალოდნელს ხარჯში ნაანგარიშევია საპრემიო პიესებისათვის 460 მან., დრამატიულ თხზულებათა გამოცემა 400 მან. და სახალხო წარმოდგენების შემწეობისათვის 150 მან.

ხანგრძლივი ბაასი გამოიწვია კრებაზედ იმ საგანმა, რომ დრამატიული კურსები დაარსდეს ქართულის სცენისათვის არტისტების მოსამზადებლადაო. ეს საგანი ბოლოს თვით დრამატიულ გამგეობას მიენდო და დაევალა მოიწვიოს მცოდნე კაცნი და გამოარკვიოს ამ საქმის ყოველი წვლილი. ამ ბაასის შემდეგ კრებამ ერთ-ხმად ამოირჩია საპატიო წევრად კნ. ნ. დ. ჩოლოყაშვილისა იმ დახმარებისათვის, რომელსაც პატივცემული კნეინა უწევს საზოგადოებას წარმოდგენებისა და ბალის გამართვით.

დასასრულ კრებამ სარევიზიო კომისიის წევრებად ამოირჩია ბ-ნნი პ. ი. უმიკაშვილი, თავ. გ. ნ. დიასამიძე და ს. ზ. მგალობლიშვილი.

ა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „С.-Петербургскія Вѣдомости“-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ვინმე იმერისა კახეთის რკინის გზის შესახებ. წერილის თავში ავტორი ამბობს, რომ კარგა ხანია საჭიროდ არის ცნობილი ამიერ კავკასიის რკინის გზა შეერთებულ იქმნას რუსეთის სხვა რკინის გზებთანაო. ის პროექტი, რომლითაც რკინის გზა მცხეთიდგან კავკავამდე უნდა გაეყვანათ, არ განხორციელდა და ამის ნაცვლად ამიერ-კავკასია რუსეთს პეტროვსკ-დერბენტ-ბალაჯარის რკინის გზით შეუერთესო. ავტორის აზრით, პეტროვსკ-ბალაჯარის რკინის გზა ძალიან შორს უვლის და მცხეთა-კავკავის რკინის გზის მაგიერობას ვერ გასწევსო. ამიტომ მთავრობა დღეს არა, ხვალ ხარჯს არ დაერიდება და ამ ახალის გზის გაყვანას შეუდგებაო. რაც შეეხება კახეთის რკინის გზას, ბ-ნი იმერი ამბობს, რომ სასურველია ეს გზა რაც შეიძლება მალე იქმნას გაყვანილიო.

„ამიერ-კავკასიის რკინის გზის შეერთება რუსეთის გზებთან ერთის მხრით, და კახეთის რკინის გზის გაყვანა მეორეს მხრით, მთელ ეპოქას შექმნის ამიერ-კავკასიის ისტორიაში. აუარებელ სიმდიდრეს საზოგადოდ ამიერ-კავკასიისას და კერძოდ კახეთისას მხოლოდ მაშინ ექმნება დიდი გასავალი და ბაზარი, როდესაც ამ გზებს გაიყვანენ. ჯერ ეხლა უგზოობის დროს, კახეთიდგან აუარებელი ღვინო, პური, მატყლი, აბრეშუმი, თამბაქო და სხვა ნაწარმოები გააქვთ. ხოლო რკინის გზის გაყვანის შემდეგ ეს რიცხვი ერთი ორად და ერთი სამად იმატებს.

„კახელების უმთავრესს სახსარს ცხოვრებისას მეღვინეობა შეადგენს. მარტო თელავის მაზრაში 13,500 დესეტინა ვენახია. კახეთის 180,000 მცხოვრებთაგან მეღვინეობას 125,000-სი მცხოვრები მისდევს. ყოველ წელიწადს მთელს კახეთში აყენებენ 3,000.000 ვედრო ღვინოს. თვისებით კახეთის ღვინო რუსეთის ყველა სხვა ღვინოსა სჯობია. ამ ღვინომ მუშტარი არამც თუ რუსეთში, საზღვარ-გარეთაც კი მოიპოვა.

სამოცდა მეათე წლებამდე კახეთის ღვინოს მეტოქე არა ჰყვანდა ამიერ-კავკასიაში. ამიერ-კავკასიის რკინის გზის გაყვანის შემდეგ ქუთაისისა და განჯის გუბერნიების და გორის მაზრის ღვინოები, რკინის გზის სიახლოვის გამო, ბაზრებს იჭერენ და ნელ-ნელა ფეხს იკიდებენ. უგზოობისა გამო კახეთის ღვინო მეტოქობას ვეღარ უწევს ქუთაისისა და განჯის გუბერნიის ღვინოებს, რომელთა ჩამოტანა სულ იაფად ჯდება. ეხლა კახეთის ღვინოს ჰყიდულობენ მხოლოდ იმისთვის, რომ სხვა ღვინოებში აურიონ და ეს არეული ღვინო „კახეთის“ სახელით ბაზრებში გაჰყიდონ. შედეგად ამას ის მოჰყვა, რომ ამ ჟამად არამც თუ რუსეთში, კავკასიაშიაც ვერ იშოვნით ნამდვილ კახურ ღვინოს.

ასეთ პირობებში ჩავარდნილი კახეთის ღვინო, რაღა ლაპარაკი უნდა, ყირიმისა და ბესარაბიის ღვინოებს რუსეთის უმთავრესს ბაზარში მეტოქეობას ვერ გაუწევდა, მით უმეტეს, რომ მთელს კავკასიაში ღვინოს ძველებურად, მამა-პაპურად აყენებენ და არა ისე, როგორც აწინდელი მეცნიერება და ტეხნიკა მოითხოვს...

„ზოგიერთნი ქართველთა აწინდელ დაქვეითებას ჩარჩ-ბაცაცობაში ჰხედავენ, მაგრამ ჩარჩი, სირაჯი და ყველა ისინი, რომელნიც შუამავლობასა სწევენ მწარმოებელსა და მომხმარებელს შუა, შედეგია და არა მიზეზი ხალხის ქონებრივად დაქვეითებისა. ჩარჩ-ბაცაცობის არსებობა იმასა ჰმოწმობს, რომ ხალხის მეურნეობა კარგად არ არის დაყენებული. უმრავლესობას სოფლის მეურნეებისას ხელს არ აძლევს თავისი მცირე ნაწარმოები, გადაზიდვის სიძვირისა გამო, ბაზარში გაიტანოს. ამიტომ ჩარჩი, სირაჯი და სხვა ამგვარი შუამავალი საჭირო ხდება. მხოლოდ გზების გაყვანას შეუძლიან ბოლო მოუღოს ჩარჩ ბაცაცობას“.

აი სწორედ ამიტომა სცნობს ავტორი საჭიროდ კახეთის რკინის გზის გაყვანას.

## დამაჯერდა

გქადულობთ ქრისტიანობით,
გცხოვრობთ კი ემმაკ გველობით!

ლასურიძე

* * *

საერთო უბედურება მოსისხლე მტერთაც-კი დაამეგობრებს ხოლმე.

ბ. დ—შვილი

* * *

დედაკაცის გული წყვდიადით მოცული წიგნია: რაც უნდა იკითხო და გადაიკითხო, უკეთესად მაინც ვერ ამოიკითხავ.

თავ. პ. ვიაზემსკი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ახლო მომავალში სამხრეთ პოლიუსისაკენ მიემგზავრება ერთი ახალი ექსპედიცია კიდევ. სხვათა შორის, ექსპედიციაში მონაწილეობას იღებს იული პაიერი. აი რა უთქვამს ამ პაიერს ანდრეს შესახებ ერთის გაზეთის თანამშრომლისათვის: „სტოკჰოლმიდგან მოსული უკანასკნელი ცნობები, საუბედუროდ, ეჭვს გარეშე ჰყოფენ, რომ ანდრე და ორი იმისი თანამგზავრი დაიღუპნენ. ბუი ან ბოთლი, რომელიც ამას წინად იპოვნეს, ჰმოწმობს, რომ ჰაეროსტატი დაეშვა ჩრდილოეთით იმ ადგილას, სადაც მუდამ ყინულია. რადგანაც მგზავრებს მოწყობილება არა ჰქონდათ და სურსათიც ნაკლებ მოეპოვებოდათ, უეჭველად უნდა დაღუპულიყვნენ ამ ყინულებში. საყურადღებო ის არის, რომ ბუიში არავითარი წერილი ან სხვა რამ ცნობა ანდრესაგან არ აღმოჩნდა. თუ ეს ბუი თვით ანდრემ გადააგდო, მაშინ თან უეჭველად წერილსაც გაიყოლებდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბუი ჰაეროსტატის დაშვების დროს ზღვაში ჩავარდნილა და შემდეგ ზღვას ნაპირზედ გამოუგდია. ის გარემოება, რომ ანდრესაგან ამ ორის წლის განმავლობაში არავითარი ცნობა არ მოსულა, ერთის წერილის მეტი, ჰმოწმობს, რომ ანდრე დაიღუპა. მართალია, წინადაც ყოფილა, რომ მოგზაურისაგან მთელის წლობით არავითარი ცნობა არ მოსულა, მაგრამ იმ მოგზაურთა და ანდრეს შორის დიდი განსხვავებაა. იმათ თან ყოველგვარი სამოგზაურო იარაღი და სურსათი ჰქონდათ (მარხილები, ძაღლები და სხვა), ანდრეს-კი თითქმის არაფერი წაუღია თან“.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ნაბრძანებია, რომ მემკვიდრე ხელმწიფისა და დიდის მთავარის მიხეილ ალექსანდრეს ძის დაბადება და სახელ-წოდება იდღესასწაულონ 22 ნოემბერს.

**კაპშტადტი.** „Cap. Argus“-ი შემდეგს დაწვრილებითს ამბებს იუწყება გლენკედგამ გენერალის იულის ჯარის გასვლის შესახებ: „შაბათს, სალამოთი, დიდის წვიმის დროს, კარავები აიღეს და სხვა ადგილას გადაიტანეს. ბურებმა ბანაკს ყუმბარები დაუშინეს; ორი კაცი მოკვდა, ამიტომ საჭირო შეიქმნა უფრო შორს გასვლა, სადაც ყუმბარა არ მისწვდებოდა. ქალაქის მცხოვრებთაც მიანებეს ქალაქს თავი და ჯარს დაედევნენ. კვირას მთელი დღე ინგლისელებმა წვრილ-წვრილ შეტაკებას მოანდომეს. ჯარის-კაცნი საშინლად დაიღალნენ. კვირა ღამეს სრულიად არ დაუსვენიათ. მთელი ჯარი უკან გადგომას შეუდგა და გაიარა ვანლონვერის ვიწრო და საშიში ხეობა. სამშაბათს სალამოთი ხელ-ახლა წამოვიდა წვიმა, რომელმაც ჯარის კაცები არ მოასვენა მთელი ღამე. დილის 4 საათზედ ჯარი ლედი-სმიტიდგან გამოსულ სხვა ჯარს შეუერთდა. კვირას გენერალმა იულმა, რომელსაც თოფის ხმა მოესმა ელანდსლააგტეს მხრიდგან, არტილერია გაჰგზავნა იქითკენ. არტილერიამ ყუმბარები დაუშინა ბოერებს, რომელთაც უმპატრისკემ დაიწყეს. ამასთან ბოერებს ცოტაოდენი ზარალიც მიაყენა“.

**ბერლინი.** როგორც პარიჟიდგან „Loc. Anz“-ს ატყობინებენ, ბოერებს მეფეკინგი აუღიათ.

**ლონდონი.** სეფე სიტყვაში, წაკითხულს პარლამენტის კრების გადების გამო, მოხსენებულია ვაჟკაცობა და თავგამოდება იმ რაზმებისა, რომელნიც სამხრეთ აფრიკაში ბოერების წინააღმდეგ იბრძვიან. დედოფალი თავისს გულითადს მწუხარებას აცხადებს იმდენის მამაცის აფიცრისა და ჯარის კაცის დაღუპვის გამო თავისს ვალდებულების ასრულების დროს. შემდეგ პარლამენტს მადლობას უცხადებს ომისთვის დიდის ფულის გადადების გამო და დასასრულ ამბობს, ღმერთმა ინებოს, რომ სამხრეთ აფრიკაში მშვიდობიანობა მალე დამყარებულიყოსო.

**ვაშინგტონი.** მაკ-კინლეის გადასცეს პეტიცია, რომელშიაც სთხოვენ, შუამდგომლობა გასწიოს ტრანსვაალ-ინგლისს შორის.

**ბრიუსსელი.** ტრანსვაალის ელჩმა ლეიდსმა განაცხადა, უინტგტონის ნათქვამი—ტრანსვაალი ჟენევის კონვენციას მიემხრო, მოწმობს იმას, რომ ინგლისი ტრანსვაალს მეომარ მხარედა სთვლის.

**პრაგა.** ახალი მანიფესტაციები მოხდა, ამასთან ებრაელთა სახლებში ფანჯრის შუშები დაამტვრიეს.

**ტაშკენტი.** სამხედრო ოლქის სასამართლომ, განიხილა რა საქმე პოლკოვნიკის სტაშევსკისა, რომელსაც სმორგუნერის მოკვლა ჰბრალდებოდა, დამნაშავედ იცნო იგი და მიუსაჯა ყოველისავე უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და ენისეის გუბერნიაში ათის წლით გაგზავნა. ამას გარდა სასამართლომ დაადგინა, სტაშევსკიმ იხადოს ყოველ წელიწადს ქვრივის სმორგუნერის სასარგებლოდ 400 მანეთი. ამასთან სასამართლომ გადასწყვიტა უმაღლესად იშუამდგომლოს გადაწყვეტილ სასჯელის ნაცვლად სტაშევსკი მხოლოდ ორის წლით საპყრობილეში იქმნას დაპატიმრებული.

**გულუვაიო.** კროკოდილკულის ჩრდილოეთით ინგლისელები ბოერების რაზმს შეჰხვდნენ და უკან დასწიეს. ბოერებს მოუკლეს შვიდი კაცი და ერთიც ტყვედ წამოიყვანეს. ინგლისელებს არაფერი უზარალნიათ.

**ლონდონი.** ჩარლზ ბერესფორდმა გლაზგოში სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ინგლისმა სამხრეთ-აფრიკის საქმეში ჩარევის ნება არავის არ უნდა მისცეს, თუნდაც რომ ამისთვის მთელის სახელმწიფოს მამაკაცთა ბრძოლაში გაყვანა მოუხდესო.

**ლედი სმიტი.** 14 ოქტომბერი. ბოერები 11-ს ამ თვეს, დილით ადრე, ქალაქ დენდის შეესივნენ. ქალაქის დარაჯნი, რიცხვით ოცი კაცი, დენდიდგან 2 მილის სიშორეზედ იყვნენ. დარაჯნი მახლობელს გორაკისკენ გაექცნენ, მაგრამ ბოერებმა ყველანი ამოსწყვიტეს. ამას გარდა, ბოერებმა რამდენიმე მოქალაქეც დახვრიტეს.

17 ოქტომბერი

**კაპშტადტი.** აქაურს გაზეთ „Times“-ში დაბეჭდილია: „გენერალმა უაიტმა ლედი-სმიტიდგან დაბრუნებულ რაზმისაგან გაიგო რა, რომ მოწინააღმდეგის მრავალ-რიცხოვანი ჯარი გელპმაკაარიდგან ლედი-სმიტისკენ მოდისო, გაგზავნა იმის წინააღმდეგ ძლიერი რაზმი, რომელიც ქვეითა და ცხენოსანი ჯარისაგან შესდგება“.

ბოერებმა ყუმბარები დაუშინეს ინგლისის მცირე რაზმს, რომელიც ლედი-სმიტიდგან 9 მილის სიშორეზედ იდგა. ბოერები მადდერსპრუტის მხრისაკენ სდგანან, ხოლო ინგლისელნი—ბოერების ბანაკიდგან ოთხის მილის სიშორეზედ.

**კაპშტადტი.** გამოქვეყნებულ იქმნა მილნერისა და შრეინერის პროკლამაცია, რომელიც უარ-ჰყოფს ორანჟეს რესპუბლიკის მთავრობის პროკლამაციას კაპის ახალშენის ნაწილის შეერთების შესახებ. მილნერი თავისს პროკლამაციაში ურჩევს ინგლისის ქვეშევრდომებს ერთგულად ემსახურნენ თავიანთ დედოფალს და ვალდებულებას.

18 ოქტომბერი

**დარმშადტი.** ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა და დიდი ჰერცოგი მეუღლითურთ მობრძანდნენ აქ დილით. მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობათ ინახულეს რამდენიმე კაცი და რამდენიმე სავაჭრო დაწესებულება დაათვალიერეს. სალამოზედ უავგუსტოესნი გვამნი ვოლფსგარტენში დაბრუნდნენ.

**მეფეკინგი.** ბურებმა წყლის მილი შესწყვიტეს, მაგრამ ქალაქში წყალი მაინც ბევრია. მცხოვანეთა რაზმი გავიდა ჩუმად ქალაქს გარეთ, სამის მილის მანძილზედ ბურებს შეეხეთ, დაუწყეს ერმანეთს სროლა და შემდეგ ბურები ქალაქშივე დაბრუნდნენ.

**კაპშტადტი.** ხუთი ქვეითა ჯარის ბატალიონი, სამი ცხენოსანთა რაზმი, ერთი ბატარეა სამთო არტილერიისა და ექვსი მინდვრის არტილერიის ბატარეა გავიდა ლედი-სმიტიდგან ლომბარდსკოპისაკენ. გუსართა ესკადრონმა აღმოაჩინა მტრის ყოფნა, რომელთაგანაც დაიწყო ძლიერი სროლა თოფებისა და ზარბაზნებისა. მოკლულია ორი ცხენი, ხოლო დაჭრილი ერთი ცხენოსანი. მტერს ძლიერი სიმაგრე ეჭირა დენდალსის ფერმასთან და ცხენოსანმა ჯარმა იგი იქიდგან ვერ შესძრა. რადგან მთელის დღის იერიშით არა მოხერხდა რა, ჯარი იქვე დაბანაკდა მინდვრად. გათენებისას მტრის ჯარი რიფონტენისაკენ წავიდა.

**დურბანი.** ბურებმა მიიწიეს ლედი-სმიტისაკენ და ბექობზედ, ქალაქიდგან $2^1/_2$ ინგლისურ მილის მანძილზედ, ორი დიდი ზარბაზანი დასდგეს. იერიშს ყოველ საათს მოელიან.

**პრეტორია.** აქ ამბავი მოვიდა, რომ მეფეკინგი ცეცხლის ალით არის მოცულიო.

Дозволено цензурою, Тифлисъ 18 Октября 1899 г.
სტამბა ძ. ძარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე